



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

სათაო ოფისი: 3300, ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5, ფაქსი: (+995 32) 2252531  
0179, ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №4, ტელ.: (+995 32) 2252533  
E-mail: info@sakpatenti.org.ge; www.sakpatenti.gov.ge



№ 357



26/10/2020

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრისა და პროცედურების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე, 52-ე და 61-ე მუხლებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

- 1.საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს მომსახურების დეპარტამენტის მოქალაქეთა მომსახურების სამმართველოს უფროსი, ნინო ცუხიშვილი.
2. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების ძიების მოთხოვნით შემოსულ წერილებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა დაევალოს შესაბამისი მიმართულების სტრუქტურულ ერთეულს, ხოლო, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია ეხება ორ ან მეტ სტრუქტურულ ერთეულს, ინფორმაციის გამოთხოვის და პასუხის გაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირს.
- 3.საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქპატენტის ყველა სტრუქტურულ ერთეულს დაევალოს საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო მონაცემების მიწოდება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირისთვის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 6 სამუშაო დღის ვადაში.
- 4.საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირისთვის მიწოდებული ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი სტრუქტურული ერთეული.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ“ საქპატენტის თავმჯდომარის 2015 წლის 27 აპრილის N46 ბრძანება.

6. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ქ. მცხეთის რაიონული სასა-მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

**მინდია დავითაძე**

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების  
ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარე

